საქართველოს იუსტიციის უმაღლესი საბჭო

ქ. თბილისი № 1/18 "3" თებერვალი 2016 წ.

გ ა დ ა წ ყ ვ ე ტ ი ლ ე ბ ა

ი. მაშანეიშვილის მოსამართლეობის კანდიდატების შესარჩევი კონკურსის მეორე ეტაპზე დაშვების შესახებ

„მოსამართლეობის კანდიდატების შესარჩევი კონკურსის მეორე ეტაპზე კანდიდატების დაშვების შესახებ" საქართველოს იუსტიციის უმაღლესი საბჭოს 2016 წლის 27 იანვრის №1/17 გადაწყვეტილებით, მოსამართლეობის შესარჩევ კონკურსზე დარეგისტრირებული კანდიდატი ინდირა მაშანეიშვილი „საერთო სასამართლოების შესახებ" საქართველოს ორგანული კანონის 34-ე მუხლის პირველი პუნქტის შესაბამისად, არ იქნა დაშვებული მეორე ეტაპზე, იმ მოტივით, რომ მას არ ჰქონდა უმაღლესი იურიდიული განათლება არანაკლებ მაგისტრის ან მასთან გათანაბრებული აკადემიური ხარისხით. ი. მაშანეიშვილმა წარმოადგინა მის მიერ მიღებული უმაღლესი განათლების, მაგისტრის საფეხურთან გათანაბრების თაობაზე თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიის 2016 წლის 28 იანვრის №3/10112-15 გადაწყვეტილება.

„მოსამართლეობის კანდიდატების შერჩევის წესის დამტკიცების შესახებ" საქართველოს იუსტიციის უმაღლესი საბჭოს 2009 წლის 9 ოქტომბრის №1/308 გადაწყვეტილების დამტკიცებული მოსამართლეობის კანდიდატების შერჩევის წესის 12[1] მუხლის მე-2 პუნქტის საფუძველზე, ინდირა მაშანეიშვილი დაშვებულ იქნეს 2016 წლის იანვრის თვის მოსამართლეობის შესარჩევი კონკურსის მეორე ეტაპზე.

ლევან მურუსიძე